



საქართველოს ახალი გენერაციის იურისტთა ასოციაცია

საჯარო ინფორმაციის გამჭვირვალობა და ხელმისაწვდომობა საქართველოში

მოცემობის
უძღვებელი

საქართველოს
გამზირვალობა და
ხელმისაწვდომობა
საქართველოში

მოცემულიების პერიოდი

თბილისი
2010

მონიტორინგი ხორციელდება საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ პროექტის - “ფინანსური გამჭვირვალობა და საჯარო დაწესებულებების ანტიკორუფციული მონიტორინგი” - ფარგლებში. ფინანსური მხარდაჭერა - ღია საზოგადოების ინსტიტუტი (OSI).



ავტორი: ლინა ლვინიანიძე

რედაქტორი: ხათუნა ყვირალაშვილი

ტექ. რედაქტორი: ირაკლი სვანიძე

გამოცემაზე პასუხისმგებელი: თამარ გურგიანი



აიწყო და დაკაბადონდა

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში.

ვ. კახიძის ქ. 15 (ყოფ. კრილოვის ქ.) 0102 თბილისი,

საქართველო

995 32) 95 23 53, 93 61 01

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ასოციაციის წერილობითი ნებართვის გარეშე

სარჩევი

I. შესავალი	5
II. მონიტორინგის გეთოდოლოგია	6
1. განცხადებები	7
2. გამოთხოვნილი ინფორმაციის შინაარსი	8
2.1. საბიუჯეტო ხარჯები	9
2.2. საერთაშორისო დახმარებები და სახელმწიფო შესყიდვები	10
2.3. სამართლებრივი აქტები	12
3. განცხადებების ადრესატი ადმინისტრაციული ორგანოები	14
4. გამოთხოვნილი ინფორმაციის ტიპი	16
III. კვლევის შედეგები	16
1. შედეგების სტატისტიკა განცხადებელი სუბიექტების მიხედვით	19
1.1. ვადის დაცვის საკითხი	20
1.2. ინფორმაციის სრულყოფილება	20
2. შედეგების სტატისტიკა განცხადების ადრესატების მიხედვით	21
3. შედეგების სტატისტიკა გამოთხოვნილი ინფორმაციის შინაარსის მიხედვით	22
3.1. საჯარო მოხელეთა ხელფასების, პრემიებისა და სხვა ადმინისტრაციული ხარჯების ხელმისაწვდომობა	23
3.1.1. ხელფასები და პრემიები, როგორც საჯარო ინფორმაცია	27
3.1.2. ხელფასები, პრემიები და სამივლინებო ხარჯები, როგორც პერსონალური ინფორმაცია	27

3.1.3.	ხელფასები, პრემიები და სამივლინებო ხარჯები, როგორც სახელმწიფო საიდუმლოება	29
3.1.4.	პრემიები, როგორც პერსონალური ინფორმაცია	30
3.1.5.	სამივლინებო ხარჯები, როგორც საჯარო ინფორმაცია	32
4.	ადგილობრივი თვითმმართველობების მხრიდან საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	32
5.	სასამართლო ორგანოების მხრიდან საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	33
5.1.	სასამართლოების მიერ მოწოდებული ინფორმაცია	37
5.2.	პერსონალური ინფორმაციის დაცვის საკითხი სასამართლოების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში	38
IV.	საჯარო ინფორმაციის პროცედული გამოქვეყნება	39
1.	პრესსამსახურების როლი და ფუნქციები	41
2.	საჯარო დაწესებულებების ვებ-პორტალი	43
V.	დასკვნა	45

I. შესავალი

წარმოდგენილი კვლევა განხორციელდა რეგიონული პროექტის – „საჯარო ინფორმაციის გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის მონიტორინგი“ – ფარგლებში. იგი მიზნად ისახავდა ინფორმაციის თავისუფლების კუთხით ადმინისტრაციული ორგანოების პრაქტიკის შესწავლას, არსებული ტენდენციების გამოვლენას და იმ პროცედურებისა თუ პარიერების იდენტიფიცირებას, რომლებსაც განმცხადებლები ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან საჯარო ინფორმაციის მიღებისას აწყდებან.

საქართველოს კანონმდებლობით გარანტირებულია ყველა ადამიანის უფლება, მიიღოს ინფორმაცია. საქართველოს კონსტიტუცია ინფორმაციის თავისუფლების მაღალ სტანდარტს აწესებს.

კონსტიტუციის 24-ე მუხლი:

„ყოველ ადამიანს აქვს უფლება, თავისუფლად მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია, გამოთქვას და გაავრცელოს თავისი აზრი ზეპირად, წერილობით ან სხვაგვარი საშუალებით.“

კონსტიტუციის 41-ე მუხლი:

„საქართველოს ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, კანონით დადგენილი წესით გაეცნოს სახელმწიფო დაწესებულებაში მასზე არსებულ ინფორმაციას, თუ ისინი არ შეიცავს სახელმწიფო, პროფესიულ ან კომერციულ საიდუმლოებას.“

საქართველოს კანონმდებლობა აწესებს საჯარო დაწესებულებების ღიაობის სტანდარტს და ყველა სახის ინფორმაციას მიიჩნევს საჯაროდ, თუ იგი „კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებად.“ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ინფორმაციის თავისუფლების თავი ადგენს დეტალურ დებულებებს და ქმნის ადმინისტრაციული ორგანოების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გარანტიებს.

თუმცა, პრაქტიკა არ არის ასეთი ერთმნიშვნელოვანი, განსაკუთრებით იმ საკითხებთან მიმართებით, რომლებზეც კანონმდებლის ცალსახა პოზიცია არ არის გამოკვეთილი. მაგალითად, პერსონალური მონაცემების დაცვის კუთხით, კანონმდებელი არ არის ცალსახა, შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პრაქტიკა არაერთგვაროვანია. საქართველოს კანონმდებლობა ასევე არ ადგენს ინფორმაციის პროაქტულად გამოკვეყნების ვალდებულებას და არ განსაზღვრავს იმ ინფორმაციის ტიპებს, რომლებიც ექვემდებარება საჯაროობას ადმინისტრაციული ორგანოს ინიციატივით.

საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ინფორმაციის თავისუფლების გარანტიების, ცალკეული ბუნდოვანი ჩანაწერებისა და აქტუალურობის გათვალისწინებით, კვლევის ფარგლებში მოექცა ჩეკენთვის საინტერესო ყველა საკითხი.

შედეგად, საჯარო დაწესებულებების მიერ ინფორმაციის გაცემის პროცედურების დაცვის მდგომარეობის გარდა, მონიტორინგმა ასევე გამოკვეთა ადმინისტრაციული ორგანოების განსხვავებული მიდგომა სხვადასხვა შინაარსისა და ტიპის ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით.

II. მონიტორინგის მეთოდოლოგია

მონიტორინგი ხორციელდებოდა კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში – 2009 წლის აგვისტოდან 2010 წლის თებერვლის ჩათვლით. შესაბამისად, კვლევაში გამოყენებული მასალები მითითებულ პერიოდს ეკუთვნის და წარმოდგენილი დასკვნები საქართველოში ინფორმაციის თავისუფლების მდგომარეობის უახლეს ტენდენციებს აღწერს.

მონიტორინგი განხორციელდა რეგიონული პროექტის მიერ დადგენილი კრიტერიუმების ფარგლებში და მოიცვა წინასწარ განსაზღვრული ყველა სტადია. საქართველოს კანონმდებლობა ინფორმაციის გამოთხოვნის თაობაზე მხოლოდ წერილობითი ფორმით წარდგენილ განცხადებას იცნობს, შესაბამისად, ყველა განცხადება მითითებული ფორმითა და კანონით დადგენილი წესების დაცვით იქნა გაგზავნილი შესაბამის უწყებებში.

პროექტის ფარგლებში, ინფორმაციის გამოთხოვნის მიზნით,

სულ გაიგზავნა 150 განცხადება, ხოლო განცხადებებში დას-მული შეკითხვების რაოდენობამ შეადგინა 328. ცალკეულ შემთხვევებში, აუცილებელი ხდებოდა დამაზუსტებელი განცხადებების გაგზავნა, რაც კვლევის მიზნებისთვის და-მოუყიდებელ განცხადებებად არ არის მიჩნეული და სტატის-ტიკაში დამატებით არ აისახება.

1. განცხადებლები


საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლი ადგენს:

“ყველას აქვს უფლება, მოითხოვოს საჯარო ინფორმა-ცია მისი ფიზიკური ფორმისა და შენახვის მდგომარეობის მიუხედავად და აირჩიოს საჯარო ინფორმაციის მიღების ფორმა.”

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, **ყველას** აქვს უფლება, მიმართოს საჯარო დაწესებულებას ინფორმაციის გამოთხოვნის მიზნით, რაც, მეორე მხრივ, ნიშნავს ადმინის-ტრაციული ორგანოების ვალდებულებას, **ყველა** განცხადება თანაბრად იქნეს განხილული და დაკმაყოფილებული. თუმცა, პრაქტიკაში განსხვავებულია მიდგომა და, ცალკეულ შემთხ-ვევებში, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია არა ინფორმაციის შინაარსზე, არამედ იმაზე, თუ ვინ ითხოვს მას, არასამთავრობო ორგანიზაცია, მოქალაქე თუ ჟურნალისტი.

შესაბამისად, კვლევის მიზნებისათვის მნიშვნელოვანი იყო ამ საკითხზე ადმინისტრაციული ორგანოების პრაქტიკის შეს-წავლა და, მისი გამოკვეთის მიზნით, კვლევაში, არასამთავრო-ბო ორგანიზაციების გარდა, ასევე ჩართულ იქნენ ფიზიკური პირები და ჟურნალისტები.

საჯარო დაწესებულებებში გაგზავნილი 150 განცხადებიდან არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარდგენილ იქნა 80 განცხადება, 50 შემთხვევაში განმცხადებლებს ფიზიკური პირები წარმოადგენდნენ, ხოლო ჟურნალისტებმა საანგარი-შო პერიოდში ადმინისტრაციულ ორგანოებს 20 განცხადებით მიმართეს.




2. გამოთხოვილი ინფორმაციის შინაარსი

ადმინისტრაციულ ორგანოებში წარდგენილი განცხადებები მიზნად ისახავდა სხვადასხვა სახის ინფორმაციის გამოთხოვნას. მათი შინაარსი განისაზღვრა რეგიონული პროექტის მიერ დადგენილი ინდიკატორების მიხედვით. ზემოაღნიშნულიდან კი შეიძლება შემდეგი შინაარსობრივი მიმართულებები:

- ინფორმაცია ბიუჯეტის ხარჯვის შესახებ;
- საერთაშორისო დახმარების სახით მიღებული გრანტები;
- სახელმწიფო შესყიდვები;
- ინფორმაცია სამართლებრივი აქტების შესახებ.

შესაბამისად, ადმინისტრაციულ ორგანოებში წარდგენილი განცხადებებიდან 52 მათგანი შეეხებოდა ბიუჯეტის ხარჯვას. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვნის მიზნით გაგზავნილი განცხადებების რაოდენობამ 22 შეადგინა. 17 განცხადება მიზნად ისახავდა საჯარო ინფორმაციის მიღებას საერთაშორისო დახმარებების შესახებ, ხოლო სხვადასხვა სახის სამართლებრივი აქტების შესახებ ინფორმაცია გამოთხოვნილი იქნა 59 განცხადებით.



კვლევისათვის შეირჩა ოთხი ძირითადი შინაარსობრივი მიმართულება, თუმცა, ცალკეული საკითხების შესწავლის მიზნით, სფეროები კიდევ უფრო დავავინროვეთ და ფოკუსი კონკრეტულ თემებზე შევაჩირეთ.

2.1. საბიუჯეტო ხარჯები

სახელმწიფოს წლიური ბიუჯეტი საკმაოდ დიდი მოცულობის დოკუმენტია და, კვლევის მასშტაბიდან გამომდინარე, შეუძლებელი იქნებოდა ყველა საკითხზე ყურადღების გამახვილება. შესაბამისად, საკითხის აქტუალურობის გათვალისწინებით, შეირჩა კონკრეტული სფერო – საჯარო დაწესებულებების ადმინისტრაციული ხარჯების გამჭვირვალობა. განსაკუთრებით საინტერესოდ მივიჩნიეთ თავად საჯარო დაწესებულებების მიღებობა და მათი მხრიდან ღიაობის პრინციპების დაცვა მაშინ, როდესაც საკითხი მათი ადმინისტრაციული ხარჯების, საჯარო მოხელეთა ხელფასებისა და პრემიების საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობას შეეხებოდა.

შესაბამისად, საბიუჯეტო ხარჯების თაობაზე ყველა განცხადება შედგებოდა იდენტური შეკითხვებისგან და შეეხებოდა შემდეგი ინფორმაციის გამოთხოვნას:

- თანამშრომელთა სია და თითოეული თანამშრომლის ხელფასებზე, პრემიებსა და ჯილდოებზე ბიუჯეტიდან

დახარჯული თანხის ოდენობა 2008 წლის განმავლობაში (ცალ-ცალკე);

- თითოეული თანამშრომლის სამივლინებო ხარჯები 2008 წლის განმავლობაში (ცალ-ცალკე);
- თანამშრომელთა სატელეფონო საუბრებზე (მათ შორის მობილური ტელეფონი) ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა 2008 წლის განმავლობაში;
- თანამშრომელთა მიერ სამსახურის ავტომანქანით (ავტომანქანებით) მომსახურებაზე ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა 2008 წლის განმავლობაში;
- თანამშრომელთა მიერ ბერზინის შესყიდვაზე დახარჯული თანხის ოდენობა 2008 წლის განმავლობაში;
- თანამშრომელთა მობილური ტელეფონებისა და ავტომობილების შესყიდვაზე ბიუჯეტიდან დახარჯული თანხის ოდენობა 2008 წლის განმავლობაში (ცალ-ცალკე).

ზემოთ მითითებული შეკითხვები გაიგზავნა შემდეგ ადმინისტრაციულ ორგანოებში: სამინისტროები, საქვეუწყებო დაწესებულებები, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ადგილობრივი თვითმმართველობები და კონსტიტუციით გათვალისწინებული სხვა დამოუკიდებელი ორგანოები.

2.2. საერთაშორისო დახმარებები და სახელმწიფო შესყიდვები

საზოგადოებისათვის განსაკუთრებული ინტერესის სფეროს წარმოადგენს საქართველოს ხელისუფლების მიერ საერთაშორისო დახმარების სახით მიღებული თანხების განკარგვის კონტროლი და განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების კანონიერება.

შესაბამისად, კვლევის მიზნებისათვის შეირჩა საერთაშორისო დახმარებების სახით მიღებული ფინანსების ხარჯვის კანონიერების საკითხი და გამოიყო კონკრეტული სფერო – ომის შედეგად იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა.

სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე გამოთხოვნილი ინფორმაცია შეეხებოდა 2008 წლის 8 აგვისტოს საომარი მოქმედე-

ბების შედეგად დაზარალებული პირებისათვის დონორი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი სახსრების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის გაცემას. შესყიდვების შესახებ გამოთხოვნილი ინფორმაცია შეეხებოდა, ერთი მხრივ, ტენდერებს და, მეორე მხრივ, ერთ პირთან მოლაპარაკების გზით სამუშაოს შესყიდვას.

ტენდერებთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიებისას, ჩვენი ინტერესის სფეროს წარმოადგენდა სრული სატენდერო დოკუმენტაციის ასლები, აგრეთვე, ტენდერში გამარჯვებულ პირებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში შესული ცვლილებების ასლები და ა.შ.

რაც შეეხება ერთ პირთან მოლაპარაკების გზით მუნიციპალიტეტებისა და მდფა-ის მიერ გაფორმებულ ხელშეკრულებას, მოთხოვნილ იქნა შემდეგი ინფორმაცია:

- შემსყიდველ ორგანიზაციისა და სამუშაოს მიმწოდებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების ასლები;
- აღნიშნულ ხელშეკრულებებში შესული ცვლილებების ასლები;
- შენობების დაზიანებისა და ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტების ასლები;
- თანხების გადარიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;
- მიღება-ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;
- სხვა სახის დოკუმენტაცია, რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებასთან.

ინფორმაციის მოძიების თვალსაზრისით, განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენდა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, რომელიც გამოყოფილი სახსრების განკარგვაზე პასუხისმგებელი პირია. უნდა აღინიშნოს, რომ მისი სამართლებრივი ფორმა არის საჯარო სამართლის იურიდიული პირი. თუმცა, მიუხედავად ამისა, დონორებთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა განხორციელებული ღონისძიებების რეტროაქტიულ დაფინანსებას. შესაბამისად, ჩვენი ინტერესის სფეროში მოექცა, დაზარალე-

ბულთა საცხოვრებელი სახლებით უზრუნველყოფის მიზნით, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ბედიც.

აღნიშნულ საკითხზე საჯარო ინფორმაციის გამოხოვნის მიზნით განცხადებები გაიგზავნა ყველა იმ უწყებაში, რომელსაც შეხება ჰქონდა ფინანსების განკარგვასთან. მათ შორის განსაკუთრებული ფოკუსი გაკეთდა იმ მუნიციპალიტეტებზე, რომელებიც უშუალოდ უზრუნველყოფნები ფინანსების განკარგვას ზემოაღნიშნული მიზნისათვის. აღნიშნულმა სტრატეგიამ საშუალება მოგვცა, შეგვესწავლა, ერთი მხრივ, გრანტის სახით მიღებული იმ ფინანსების ხარჯვის კანონიერება, რომელიც იძულებით გადაადგილებული პირებისათვის გამოიყო და, მეორე მხრივ, ეს კონკრეტული საკითხი განვეხეილა ადგილობრივი თვითმმართველობების ჭრილში, კონკრეტული უწყებრივი ნიშნის ადმინისტრაციული ორგანოების გამჭვირვალობის გამოსავლენად.

2.3. სამართლებრივი აქტები

სამართლებრივი აქტების ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია, განსაკუთრებით კი სასამართლო ორგანოების კონტექსტში. სასამართლოებში დაცული დოკუმენტაციის ხელმისაწვდომობაზე როცა ვსაუბრობთ, ერთმანეთი-საგან უნდა განვასხვაოთ რიგითი პირებისა და პროცესის მხარეების (მოსარჩელე, მოპასუხე, მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნით, მესამე პირი დამოუკიდებელი სასარჩელო მოთხოვნის გარეშე) ან მათი წარმომადგენლების სტატუსი. პროცესის სხვა მონაბილეები – მოწმეები, ექსპერტები, სპეციალისტები და თარჯიმნები – ხელმისაწვდომობის კუთხით რაიმე განსაკუთრებული სტატუსით არ სარგებლობენ.

პროცესის მხარეებს სრული დასაშვებობა აქვთ საქმის მასალებთან, მასში დაცული პერსონალური მონაცემების ჩათვლით, მაშინ როდესაც, გარეშე პირებისათვის პერსონალური მონაცემები ხელმისაწვდომი არ არის. გარდა ამისა, მხარეებს, თავიანთი განცხადების საფუძველზე, სასამართლოს გადაწყვეტილების ასლები გადაეცემათ განცხადების შეტანიდან არაუგვიანეს 3 დღისა, ხოლო სხვა პირებს – არაუგვიანეს 10 დღისა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტით განსაკუთრებით არის ხაზგასმული, რომ ყველას აქვს უფლება, გაეცნოს „სასამართლოს მასალებს იმ საქმეებზე, რომლებშიც საჯარო დაწესებულება მხარეს წარმოადგენს.“

ქვემოთ აღნერილ შემთხვევებში, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია სასამართლოს მიმართავდა, როგორც ინფორმაციის თავისუფლების რიგითი მომხმარებელი და არა პროცესის მონაწილე.

კვლევის ამ ნაწილში სასამართლოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე აქცენტი გაკეთდა ორი კონკრეტული მიმართულებით:

- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის სახელით განცხადებები გაეგზავნა 14 სასამართლოს და გამოთხოვნილი იქნა საჯარო ინფორმაცია მოცემული სასამართლოების მიერ განხილულ იმ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონიდან. კერძოდ:
 1. 2005 წლის 20 აპრილიდან („სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს მოქმედი კანონის მიღებიდან) დღემდე რამდენი ასეთი დავა იქნა განხილული მოცემული სასამართლოს მიერ;
 2. სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების ასლები.

განცხადების პირველი პუნქტით მოთხოვნილ იქნა სტატისტიკური ინფორმაცია, მეორე პუნქტით – დოკუმენტები.

- საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნის მიზნით მიმართა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ 16 სასამართლოს. გამოთხოვნილი ინფორმაცია წარმოადგენდა 2008 წლიდან დღემდე სასამართლოების მიერ ინფორმაციის თავისუფლების საკითხთან დაკავშირებით (საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, III თავი) მიღებული გადაწყვეტილებების ოდენობასა და გადაწყვეტილებების ასლებს.

განცხადების | პუნქტით მოთხოვნილი იქნა სტატისტიკური ინფორმაცია, მე-2 პუნქტით – დოკუმენტები.

ინფორმაციის თავისუფლების რეალიზების კუთხით, საინტერესო პრაქტიკა, რომელიც სასამართლოებში არსებობს. სწორედ სასამართლოები განიხილავნ ინფორმაციის თავისუფლების დავებს, იღებენ ავტორიტეტულ და შესასრულებლად სავალდებულო გადაწყვეტილებებს, ამიტომ საინტერესოა, თავად ისინი რამდენად პასუხობენ კანონით დადგენილ მოთხოვნებს. აღნიშნულმა მიდგომამ საშუალება მოგვცა, შეგვესწავლა რამდენიმე საკითხი:

- სასამართლოების, როგორც ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობა ინფორმაციის დამუშავებისა და გაცემის კუთხით;
- ინფორმაციის თავისუფლების თაობაზე სასამართლოსადმი სარჩელით მიმართვის სიხშირე და არსებული მდგრომარეობის ანალიზი;
- სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის შესაბამისად, სასამართლო ორგანოების მიერ შესყიდვების კანონიერების თაობაზე კერძო კომპანიების მიერ სარჩელების აღძვრის სტატისტიკური მაჩვენებელი და ამ კუთხით არსებული ვითარების ანალიზი.

3. განცხადებების აღრესატი აღმინისტრაციული ორგანოები

კვლევის მიზნებისათვის, ცალკეულ შემთხვევებში, შეირჩა კონკრეტული ტიპის ადმინისტრაციული ორგანოები. ერთ-ერთ ასეთ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობები. შესაბამისად, განცხადებები გაიგზავნა ყველა იმ მუნიციპალიტეტში, რომელიც სახელმწიფო შესყიდვებს ახორციელებდა იძულებით გადაადგილებული პირებისათვის საცხოვრებელი პირობების უზრუნველსაყოფად.


ერთ-ერთ სამიზნე ჯგუფს აგრეთვე წარმოადგენენ სასამართლო ორგანოები, რომელთა შერჩევისას გათვალისწინებულ იქნა რეგიონული ნიშანი და, შედეგად, განცხადებები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში მოქმედ სასამართლოში გაიგზავნა.

კვლევას სხვა შემთხვევებში კონკრეტული სამიზნე ჯგუფი არ შეურჩევია. განცხადების ადრესატების შერჩევისას გათვალისწინებული იქნა ყველა ტიპის საჯარო დაწესებულების ჩართვის აუცილებლობა, მათი განსხვავებული უწყებრივი და ფუნქციონალური ნიშნიდან გამომდინარე.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (მუხლი 2 და მუხლი 27) მიხედვით, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მოთხოვნები ვრცელდება შემდეგ საჯარო დაწესებულებებზე:

- სახელმწიფო ორგანო;
- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირი;
- ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას;
- სახელმწიფო ან ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებიდან დაფინანსებული კერძო სამართლის იურიდიული პირი ასეთი დაფინანსების ფარგლებში.


შესაბამისად, მონიტორინგმა სხვადასხვა პროცენტული შემადგენლობით მოიცვა საქართველოში მოქმედი ყველა ტიპის საჯარო დაწესებულება.



4. გამოთხოვნილი ინფორმაციის ტიპი

კვლევის ფარგლებში გაგზავნილი 150 განცხადებით გამოთხოვნილი იქნა სხვადასხვა სახის ინფორმაცია, რომელიც შეეხებოდა დოკუმენტის, სტატისტიკური მონაცემის ან პროცედურული ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. უმეტეს შემთხვევაში, განცხადებებში დაყენებული იყო ერთდროულად ორი სახის ინფორმაციის მიღების მოთხოვნა.

გაგზავნილი განცხადებებიდან 138 აყალიბებდა ადმინისტრაციული ორგანოდან დოკუმენტის გაცემის მოთხოვნას, 92 მათგანი სტატისტიკური ინფორმაციის მოძიებას, ხოლო პროცედურის შესახებ ინფორმაცია 21 შემთხვევაში იქნა გამოთხოვნილი.




III. კვლევის შედეგები

მონიტორინგმა აჩვენა, რომ გაგზავნილი განცხადებების საპასუხოდ ინფორმაციის სრულყოფილად მიწოდებას აღვილი ჰქონდა 60 შემთხვევაში, ადმინისტრაციულმა ორგანოებმა ინფორმაცია არასრულყოფილად გასცეს 50 შემთხვევაში. წარდგენილი განცხადებებიდან 29 მათგანი ყოველგვარი რეაგირების გარეშე დარჩა, ხოლო 11 შემთხვევაში განმცხადებლებს წერილობით ეცნობათ უარის შესახებ.

ინფორმაციის სრულყოფილ მოწოდებაში იგულისხმება შემ-

თხვევები, როდესაც საჯარო დაწესებულებამ განცხადებაში მითითებული ყველა პუნქტი დააკმაყოფილა და ამომწურავად გასცა გამოთხოვნილი ინფორმაცია. ხოლო არასრულყოფილ პასუხებად შეფასდა ის შემთხვევები, როდესაც ადგილი ჰქონდა ინფორმაციის გაცემას განცხადებაში ჩამოყალიბებული საკითხებიდან მხოლოდ ერთ ან რამდენიმე მათგანთან მიმართებით.

უკანასკნელი ორი შემთხვევა (ყოველგვარი რეაგირების გარეშე დარჩენილი განცხადებები და წერილობითი უარის შემთხვევები) იღენტურია შედეგობრივი თვალსაზრისით და გულისხმობს უარს ინფორმაციის გაცემაზე, თუმცა, განსხვავებულია ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან რეაგირებისა და რეაგირების გარეშე დატოვების კუთხით. შესაბამისად, შედეგებში ისინი დამოუკიდებლად აისახა.



როგორც ხედავთ, განცხადებების 40% დაკმაყოფილდა, 34%-ის შემთხვევაში, არასრულყოფილად მოხდა ინფორმაციის გაცემა, ხოლო დანარჩენი 26% ინფორმაციის გაცემაზე უარის ფაქტებს მოიცავს.


მოწოდებული ინფორმაციის სრულყოფილებისა და ხარისხის გარდა, ინფორმაციის თავისუფლებასთან მიმართებით განსა-

კუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მის დროულ ხელმისაწვდო-
მობას დაინტერესებული მხარისათვის.

საქართველოს კანონმდებლობა ამ შემთხვევაში საქმაოდ
მაღალ სტანდარტს ადგენს. კერძოდ, კანონი საჯარო დაწესებ-
ულებას ავალდებულებს, ინფორმაციის გაცემა უზრუნველყოს
დაუყოვნებლივ. თუმცა, აქვე განსაზღვრავს მაქსიმალურ
ვადას — 10 დღეს, რომელიც მხოლოდ გამონაკლის შემთხ-
ვევებში გამოიყენება. ეს გამონაკლის შემთხვევებიც ზუსტად
არის განერილი კანონით. სამწუხაროდ, საჯარო დაწესებულე-
ბები ინფორმაციის დაუყოვნებლივ გაცემის კრიტერიუმს მხ-
ოლოდ იშვიათ შემთხვევებში აკმაყოფილებენ.


შესაბამისად, ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები ცნებაში „ვა-
დის დაცვა“ გულისხმობს იმ შემთხვევებს, როდესაც ინფორ-
მაციის მიწოდება მოხდა 10 დღიანი ვადის დაცვით, ამ ზღვარს
ზემოთ კი ყველა შემთხვევა მიჩნეულია ვადის დარღვევად.


შედეგად, საჯარო დაწესებულებების მიერ 10 დღიანი ვადის
დაცვით ინფორმაციის მიწოდებას ადგილი ჰქონდა 97 შემთხ-
ვევაში, ხოლო მაქსიმალური ლიმიტის დაუცველად 24 პასუხი
იქნა გამოგზავნილი. ამ მონაცემებში არ შედის რეაგირების გა-
რეშე დარჩენილი 29 განცხადება.



1. შედეგების სტატისტიკა განვითარების სფეროში მიხედვით

თავისთავად საინტერესოა ინფორმაციის სრულყოფილად და ვადის დაცვით მოწოდების მაჩვენებელი არასამთავრობო ორგანიზაციების, მოქალაქეებისა და უურნალისტების შემთხვევებში. შესაბამისად, აღნიშნული საკითხები დამუშავებულია კონკრეტული სუბიექტების ჭრილში. წარმოგიდგენთ სტატისტიკურ მონაცემებს განმცხადებელი სუბიექტების მიხედვით.





1.1. ვადის დაცვის საკითხი

როგორც ხედავთ, ადმინისტრაციული ორგანოები ვადის დაცვას ყველაზე მეტად იმ შემთხვევებში უზრუნველყოფენ, როდესაც განმცხადებელი სუბიექტია არასამთავრობო ორგანიზაცია. ეს მაჩვენებელი, მოქალაქეების შემთხვევაში, 77%-დან 54%-მდე მცირდება, ხოლო უურნალისტების, როგორც განმცხადებელი სუბიექტების მიმართ, კიდევ უფრო მცირე – 40%-ს შეადგენს.


ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან განცხადებების რეაგირების გარეშე დატოვების ფაქტები თითქმის თანაბარია (14%-16%) განმცხადებელი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და მოქალაქეების შემთხვევებში, ხოლო უურნალისტების შემთხვევაში, წარდგენილი განცხადებების ნახევარი რეაგირების გარეშე დარჩა.

1.2. ინფორმაციის სრულყოფილება


ინფორმაციის სრულყოფილად გაცემის კუთხითაც ანალოგიური ვითარებაა. ეს მაჩვენებელი მაღალია არასამთავრობო ორგანიზაციების შემთხვევაში (57%), საგრძნობლად მცირდება ფიზიკურ პირებთან მიმართებით (28%), ხოლო უურნალისტების შემთხვევაში ინფორმაციის სრულყოფილად გაცემის არც ერთი ფაქტი არ ფიქსირდება.

2. შეღების სფალისტია განცხადების აღრე- სატების მიხედვით

კონკრეტული ტიპის უწყებების მაგალითზე, ცალკეული მაჩვენებლების ანალიზს წარმოგიდგენთ. მონიტორინგმა შეისწავლა ორი სამიზნე ჯგუფის მუშაობა, ესენია: სასამართლო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები. შედე-გად, ნათელია, რომ სასამართლო ორგანოები უმეტეს შემთხვევაში იცავენ ინფორმაციის გაცემის კანონით დადგენილ ვა-დებს, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველობები ვადის დაცვას ასეთივე წარმატებით ვერ უზრუნველყოფენ.




იგივე შეიძლება ითქვას ალნიშნულ უწყებებთან მიმართებით, თუ მათ მუშაობას მოწოდებული ინფორმაციის სისრულის კუთხით განვიხილავთ.




3. შედეგების სტატისტიკა გამოთხვილი ინფორმაციის შინაარსის მიხედვით

კვლევამ აჩვენა, რომ ვადის დაცვით ინფორმაციის გაცემის მაჩვენებელი მაღალია მაშინ, როდესაც გამოთხოვნილია სამართლებრივი აქტებისა და საერთაშორისო დახმარებების შესახებ ინფორმაცია, ხოლო როდესაც საკითხი ფინანსების ხარჯების შესახებ (საბიუჯეტო ხარჯები და სახელმწიფო შესყიდვები) მონაცემებს შეეხება, აღნიშნული მაჩვენებელი დაბლა იწევს. მაღალია იმ განცხადებების რეაგირებს გარეშე დატოვების შემთხვევებიც, რომლითაც ფინანსურ ინფორმაციას ვითხოვდით. აღნიშნული განცხადებები მთლიანობაში წარდგენილი განცხადებების თითქმის მესამედს შეადგენს.



ანალოგიურია მაჩვენებლები მოწოდებული ინფორმაციის სრულყოფის ჭრილობი. საბიუჯეტო ხარჯებთან დაკავშირებით ინფორმაციის გამოთხვილის შემთხვევებიდან მხოლოდ 10%

დაკმაყოფილდა სრულად. აღნიშნული მაჩვენებელი იზრდება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ინფორმაციის ჭრილში და შეადგენს 37%-ს. თითქმის ანალოგიურია მონაცემები საერთაშორისო დახმარებებთან დაკავშირებით – 41%, ხოლო ყველაზე მაღალი მაჩვენებელი სამართლებრივი აქტების ხელმისაწვდომობას დამობასთან მიმართებით დაფიქსირდა. პროპორციულად, ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (42%) საბიუჯეტო სახსრების ხარჯების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას უკავშირდება.



3.1. საჯარო მოხელეთა ხელფასების, პრემიების და სხვა ადმინისტრაციული ხარჯების ხელმისაწვდომობა

საჯარო დაწესებულების მიერ განცეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია, როგორიცაა თანამშრომელთა სატელეფონო საუბრებზე, სამსახურის ავტომანქანით (ავტომანქანებით) მომსახურებაზე, ბენზინის შესყიდვაზე, მობილური ტელეფონებისა და ავტომობილების შესყიდვაზე ბიუჯეტიდან დახარჯული თანხები, საჯარო დაწესებულებების უმეტესმა ნაწილმა საჯარო ინფორმაციად მიიჩნია და მოგვაწოდა. ამასთან, აღნიშ-

ნული ინფორმაცია წარმოადგენს სტატისტიკურ მონაცემებს იმის შესახებ, თუ რა უჯდება დაწესებულებას კონკრეტული მომსახურებისა და თანამშრომელთათვის განეული ხარჯები.

თუმცა, სამწუხაროდ, ყველა საჯარო დაწესებულებამ არ მიიჩნია აღნიშნული ინფორმაცია საჯაროდ. მაგალითად, სახელმწიფო დაცვის სპეციალურმა სამსახურმა მიგვითითა, რომ „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, მოთხოვნილი ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოებას წარმოადგენდა და არ მოგვაწოდა.

მიგვაჩინია, რომ განცხადებით მოთხოვნილი ინფორმაცია განეკუთვნებოდა საჯარო დაწესებულების მიერ ფინანსების განკარგვას. შესაბამისად, იგი არ წარმოადგენს ინფორმაციას თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობის, დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში. გასათვალისწინებელია, რომ „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონით, ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევისათვის აუცილებელია, ინფორმაცია შინაარსობრივი თვალსაზრისით მიეკუთვნებოდეს სახელმწიფო საიდუმლოებას და, ასევე, დაცული იყოს პროცედურები მისი სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევის თაობაზე. „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად კი, სახელმწიფო საიდუმლოება განიმარტება, როგორც ინფორმაციის სახეობა, რომელიც მოიცავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ მონაცემებს თავდაცვის, ეკონომიკის, საგარეო ურთიერთობის, დაზვერვის, სახელმწიფო უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დაცვის სფეროში. ამავე კანონის მე-7 მუხლში ჩამოთვლილია, რა ტიპის ინფორმაცია შეიძლება იქნეს მიჩნეული სახელმწიფო საიდუმლოებად. მნიშვნელოვანია, რომ მხოლოდ ამ მუხლში დასახელებული ინფორმაცია შეიძლება იყო სახელმწიფო საიდუმლოება.

მიგვაჩინია, რომ გამოთხოვნილი ინფორმაცია, შინაარსობრივი თვალსაზრისით, არ შეიცავს სახელმწიფო საიდუმლოებას. უფრო მეტიც, საზოგადოებას აქვს ინტერესი, ფლობდეს აღნიშნულ ინფორმაციას, ვინაიდან ის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების განკარგვასა და ხარჯვასთანაა დაკავშირებული. იგი წარმოად-

გენს ინფორმაციას ადმინისტრაციული ორგანოს შესახებ, რაც, თავისთავად, არ შეიძლება იყოს სახელმწიფო საიდუმლოება.

ამასთან, სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის თანამშრომელთა თანამდებობები და მათი თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტით. შესაბამისად, პრეზიდენტის ბრძანებულება ვერ იქნება მიჩნეული სახელმწიფო საიდუმლოებად, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ მოთხოვნილი ინფორმაცია არ შეიცავს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ცნობებს. აღნიშნულს ასევე მოწმობს სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლი, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო საიდუმლოებას არ შეიძლება მიეკუთვნოს ნორმატიული აქტები (მათ შორის, არც საქართველოს პრეზიდენტის ნორმატიული აქტი).

ადმინისტრაციული ორგანოს წერილობითი უარიდან ირკვევა, რომ არ არის დაცული ინფორმაციის სახელმწიფო საიდუმლოებად მიჩნევის კანონით გათვალისწინებული ფორმალური მოთხოვნები. „სახელმწიფო საიდუმლობის შესახებ“ კანონის (მუხლი 4.2. დ) თანახმად, საქართველოს პრეზიდენტი ამტკიცებს იმ თანამდებობის პირთა ნუსხას, რომელთაც აქვთ სახელმწიფო საიდუმლობისათვის კონკრეტული ინფორმაციის მიკუთვნების უფლებამოსილება. გასათვალისწინებელია, რომ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საპასუხო უარში მითითებული არ არის, მიჩნეულია თუ არა მოთხოვნილი ინფორმაცია თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფო საიდუმლობად, ან რომელმა კონკრეტულმა თანამდებობის პირმა მიიჩნია იგი სახელმწიფო საიდუმლოებად. შესაბამისად, ჩვენთვის უცნობი დარჩა ნორმატიული აქტის რეკვიზიტები, რომლის მიხედვითაც ინფორმაცია სახელმწიფო საიდუმლოებად იქნა მიჩნეული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვთვლით, რომ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის აქტი დაუსაბუთებელია და ორგანომ უსაფუძვლოდ გვითხრა უარი საჯარო ინფორმაციის მოწოდებაზე.

საჯარო ინფორმაციის მოუწოდებლობასთან დაკავშირებით, განსხვავებული დასაბუთება ჰქონდა საქართველოს შინაგან

საქმეთა სამინისტროს. აღნიშნულმა ორგანომ განმარტა, რომ მართალია მოთხოვნილი ინფორმაცია „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ კანონის თანახმად, არ არის მიჩნეული სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციად, თუმცა, მიზანშეწონილად არ ჩათვალა მისი გასაჯაროება. ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ განემარტავთ, რომ საჯარო დანესებულება ვალდებულია, განახორციელოს მხოლოდ ის ქმედება, რაც კანონმდებლობითაა გათვალისწინებული. საქართველოს კონსტიტუცია და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავი (ინფორმაციის თავისუფლების შესახებ) არ შეიცავს დებულებებს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დასახელებული ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვის თაობაზე. ინფორმაციის თავისუფლება იზღუდება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როგორიცაა სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია. შესაბამისად, შინაგან საქმეთა სამინისტროს დასაბუთება ინფორმაციის თავისუფლების შეზღუდვასთან დაკავშირებით კანონსანინალმდეგოა და უსაფუძვლოდ ზღუდავს ინფორმაციის თავისუფლებას. ამასთან, უკანონო და დაუსაბუთებელი ქმედების კიდევ ერთი მაგალითია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების ეროვნული კომისიის მიერ განკხადებით გამოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მოუწოდებლობა.

განცხადებებით მოთხოვნილი ინფორმაცია შესაძლებელია ორ ნაწილად დაიყოს: ინფორმაცია საჯარო დაწესებულების ხარჯების შესახებ და საჯარო დაწესებულებების თანამშრომელთა პერსონალური მონაცემები ხელფასების, პრემიებისა და სამივლინებო ხარჯების სახით.

კვლევამ აჩვენა, რომ საჯარო დაწესებულებებს აქვთ განსხვავებული მიდგომა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით. რასაც ერთ შემთხვევაში კონკრეტული საჯარო დაწესებულება მიიჩნევს საჯარო ინფორმაციად, შესაძლოა სხვა საჯარო დაწესებულებამ იმავე ტიპის ინფორმაცია საჯარო არ გახადოს. სწორედ ასეთი დამოკიდებულება გამოვლინდა ხელფასებთან, პრემიებთან და სამივლინებო ხარჯებთან დაკავშირებით.

3.1.1. ხელფასები და პრემიები, როგორც საჯარო ინფორმაცია

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 111 თავი ეთმობა ინფორმაციის თავისუფლებას, რომელშიც მნიშვნელოვანი პრინციპებია ასახული, თუმცა ეს თავი არ შეიცავს იმ ინფორმაციის ამომწურავ ჩამონათვალს, რომელიც საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთმა საჯარო დაწესებულებამ თითოეული თანამშრომლის ხელფასების, პრემიების და სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია საჯაროდ მიიჩნია და მოქალაქებზე გასცა. ეს საჯარო დაწესებულებებია: ქუთაისის მერია, თელავის მუნიციპალიტეტი, რუსთავის მერია, კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულის აპარატი.

3.1.2. ხელფასები, პრემიები და სამივლინებო ხარჯები, როგორც პერსონალური ინფორმაცია

საჯარო დაწესებულებები აღიარებენ მოქალაქის უფლებას, გაეცნონ საჯარო დაწესებულებებში არსებულ ოფიციალურ დოკუმენტებს. თუმცა, თანამშრომელთა ხელფასების, პრემიებისა და სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაცია პერსონალურ მონაცემებად მიიჩნიეს. საჯარო დაწესებულებების დასაბუთებით, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, ასეთი ინფორმაცია წარმოადგენს ოფიციალურ ჩანაწერებში არსებულ საჯარო მოხელეთა პერსონალურ მონაცემებს – ფინანსებთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რომლის გამუღავნების უფლებაც ადმინისტრაციულ ორგანოს არ აქვს თვით ამ პირის თანხმობის გარეშე. გარდა ამისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სხვის პერსონალური მონაცემის მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანისას, განმცხადებელი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ვალდებულია, წარადგინოს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებული თანხმობა, ხოლო ამ თანხმობის არარსებობისას, საჯარო დაწესებულება მოკლებულია შესაძლებლობას, გასცეს ზემოთ დასახელებული ინფორმაცია.

შედეგად, ზოგიერთმა საჯარო დაწესებულებამ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლის „თ“ პუნქტის თანახმად, თითოეული თანამშრომლის ხელფასები, პრემიები და სამივლინებო ხარჯები პერსონალურ ინფორმაციად მიიჩნია. შესაბამისად, საქართველოს მთავარმა პროკურატურამ, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ, სსიპ დაცვის პოლიციის დეპარტამენტმა, ფინანსთა სამინისტრომ, მთავრობის კანცელარიამ, ეროვნულმა ბანკმა, შემოსავლების სამსახურმა, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატმა, მუნიციპალური განვითარების ფონდმა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტომ, სსიპ ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, საქართველოს პარლამენტის აპარატმა, თბილისის მერიამ, სსიპ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა არ მოგვაწოდა თანამშრომელთა ხელფასების, პრემიებისა და სამივლინებო ხარჯების ოდენობები ცალ-ცალკე.

მიგვაჩნია, რომ პერსონალური მონაცემების დაცულ სფეროს არ მიეკუთვნება ინფორმაცია თითოეული საჯარო მოხელის პრემიების, ხელფასებისა და სამივლინებო ხარჯების შესახებ, ვინაიდან ეს ინფორმაცია მიეკუთვნება სახელმწიფო ფინანსების მართლზომიერ განკარგვას. ამასთან, ხელფასებთან, პრემიებსა და სამივლინებო ხარჯებთან დაკავშირებული ცნობები წარმოადგენს ისეთ ინფორმაციას, რომელზეც საზოგადოებრივი ინტერესი მაღალია. იგი ეხება სახელმწიფო ბიუჯეტის თანხების განკარგვას, რომელიც თანამშრომლებმა საჯარო უფლებამოსილების განხორციელების შედეგად მიიღეს. შესაბამისად, მოქალაქეებს აქვთ ლეგიტიმური უფლება, გაეცნონ კონკრეტულ საჯარო მოხელეთა პრემიების, ხელფასებისა და სამივლინებო თანხების შესახებ ინფორმაციას. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ზემოხსენებული ინფორმაცია სწორედ საზოგადოებრივი ინტერესის დაკმაყოფილებისათვის ვერ იქნება მიჩნეული პერსონალურ მონაცემად.

საიას აზრით, საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მეორე ნაწილი პერსონალური ინფორმაციის დაცვის თაობაზე თანაბრად არ ვრცელდება საჯარო და კერძო პირების შემთხვევებზე. აუცილებელია განვასხვაოთ ერთმანეთისაგან საჯარო მოხელეთა და მოქალაქეთა პერსონალური მონაცემებით დაცული სფეროები. ის, რაც შეიძლება ერთ შემთხვევაში

მიჩნეული იყოს პერსონალურ ინფორმაციად, შესაძლოა, სხვა შემთხვევაში არ მოხვდეს პერსონალური მონაცემებით დაცულ სფეროში. ჩვენს არგუმენტაციას ამასთან დაკავშირებით ამყარებს საქართველოს კანონი „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ”, რომლის პირველი მუხლის „ი“ პუნქტის თანახმად, საჯარო პირს მიეკუთვნება ის პირი, რომლისკენაც, მისი გარკვეული ქმედების შედეგად, ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებით საზოგადოებრივი ყურადღებაა მიმართული. საჯარო დაწესებულებების თანამშრომლები ახორციელებენ საჯარო უფლებამოსილებას, რომლის ფარგლებში იღებენ ხელფასებს, პრემიებსა და სამივლინებო ხარჯებს. შესაბამისად, დიდია საზოგადოების ინტერესი მათი მხრიდან საჯარო ფუნქციების განხორციელებასთან დაკავშირებით მიღებული ხელფასის ოდენობის ხელმისაწვდომობის თაობაზე. გამომდინარე აქედან, საჯარო მოხელეთა თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომელთა ხელფასების, პრემიების და სამივლინებო ხარჯების თაობაზე ინფორმაცია საჯაროა და არ ხვდება საჯარო პირების პერსონალური მონაცემებით დაცულ სფეროში.

3.1.3. ხელფასები, პრემიები და სამივლინებო ხარჯები, როგორც სახელმწიფო საიდუმლოება

განსხვავებული მიდგომა და დასაბუთება ჰქონდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საჯარო მოხელეთა ხელფასებთან, პრემიებსა და სამივლინებო ხარჯებთან დაკავშირებით. სამინისტროს განმარტებით, მოთხოვნილი ინფორმაციის მოცულობის, საკადრო ცვლილებების, როტაციებისა და კანონმდებლობაში მოცემული გასაიდუმლოების გათვალისწინებით შეუძლებელია აღნიშნული მონაცემების მიწოდება. თავდაცვის სამინისტრომ მიგვითოთა ასევე საქართველოს პრეზიდენტის 1997 წლის 21 იანვრის №42 ბრძანებულების II თავზე.

საქართველოს პრეზიდენტის ზემოაღნიშნული ბრძანებულება მიღებულია „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების მიზნით, ხოლო II თავში მოცემულია სახელმწიფო საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციის ნუსხა. ამავე თავის მიხედვით, საჯარო მოხელეთა ხელფასე-

ბი, პრემიერი და სამიცლინებო ხარჯები არ არის მიჩნეული სახელმწიფო საიდუმლოების შემცველ ინფორმაციად თავდაცვის სფეროში. უფრო მეტიც, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლის იმპერატიულად არის განსაზღვრული ინფორმაციის სახეები, რომელიც შეიძლება იყოს სახელმწიფო საიდუმლოება, ხოლო ჩვენ მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია ამ სფეროში არ ხვდება. აქედან გამომდინარე, „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ” საქართველოს კანონის თანახმად, სახელმწიფო საიდუმლოებას არ წარმოადგენს ინფორმაცია თანამშრომელთა ხელფასების, პრემიებისა და სამივლინებო ხარჯების შესახებ. ამდენად, გაუგებარია თავდაცვის სამინისტროს დასაბუთება განცხადებით მოთხოვნილ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელსაც შედეგად ინფორმაციის თავისუფლების უსაფუძვლო შეზღუდვა მოჰყვა.

3.1.4. პრემიები, როგორც პერსონალური ინფორმაცია

საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ მოგვაწოდა თანამშრომელთა სია ხელფასების მითითებით, მაგრამ თითოეული თანამშრომლის პრემიების ოდენობა არ მოუწოდებია. ასევე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ საჯარო გახადა ინფორმაცია თითოეული თანამშრომლის ხელფასებისა და სამივლინებო ხარჯების შესახებ, ხოლო პრემიების ოდენობა – პერსონალურ მონაცემად მიჩნია.

აღნიშნული ინფორმაციის მოუწოდებლობის საფუძველი, სამინისტროების განმარტებით, არის საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მეორე პუნქტი, რომლის თანახმადაც, ოფიციალურ ჩანანერებში არსებული ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია ადამიანის ჯანმრთელობასთან, მის ფინანსებსა ან სხვა კერძი საკითხებთან, არავისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე. ასევე, საჯარო დაწესებულებები უარისას უთითებენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე მუხლს, რომლის თანახმადაც, პრემიების შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს პერსონალურ ინფორმაციას, რადგან პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა და ეს ინფორმაცია, თვით ამ ადამიანის თანხმობის გარეშე, არავისთვის უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განმარტებით, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მეორე ნაწილი ანესრიგებს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნისა და მიღების წესს. კერძოდ, სხვისი პერსონალური მონაცემების მოთხოვნის თაობაზე განცხადების შეტანისას, განმცხადებელი, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა, წარადგენს შესაბამისი პირის სანოტარო წესით ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დამოწმებულ თანხმობას. სამინისტრომ მიიჩნია, რომ მოთხოვნილი ინფორმაციის მოცულობა აღემატებოდა პერსონალური ინფორმაციის დაუბრკოლებლად და რაიმე პირობის გარეშე ხელმისაწვდომ მოცულობას.

საჯარო დანესებულებების განმარტება იმის თაობაზე, რომ თითოეული თანამშრომლის ხელფასებისა და სამივლინებო ხარჯების ოდენობა საჯაროა, პრემიები კი წარმოადგენს პერსონალურ მონაცემს, მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ საფუძველს. საჯარო დანესებულებების დასაბუთებას თუ დავეყრდნობით, ინფორმაცია პრემიის შესახებ უკავშირდება კონკრეტულ მოხელეთა ფინანსებს და პირის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა. იმავე ლოგიკით, თანამშრომელთა ხელფასებისა და სამივლინებო ხარჯების შესახებ ინფორმაციაც პერსონალურ მონაცემად უნდა ყოფილიყო მიჩნეული და საჯარო დანესებულებებს არ უნდა გაეცათ. ამგვარი მიდგომა გვაფიქრებინებს, რომ საჯარო დანესებულებები, ყოველგვარი სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, არ გასცემენ თანამშრომელთა პრემიების შესახებ ინფორმაციას. უფრო მეტიც, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი (მუხლი 37) განმარტავს, რომ ხელფასი მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. გამოდის, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, ორივე – პრემია და თანამდებობრივი სარგო – ხელფასის შემადგენლი ნაწილია. შესაბამისად, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მათზე განსხვავებული სამართლებრივი რეჟიმი არ ვრცელდება, ამიტომ საჯარო დანესებულებებს დაუბრკოლებლად უნდა გაეცათ თანამშრომელთა პრემიების ოდენობა, მით უფრო იმის გათვალისწინებით, რომ ხელფასების შესახებ ინფორმაცია საჯარო გახადეს.

3.1.5. სამივლინებო ხარჯები, როგორც საჯარო ინფორმაცია

სსიპ საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ და ბათუმის მერიის ადმინისტრაციამ გასცა თითოეული თანამშრომლის სამივლინებო ხარჯები, მაგრამ არ იქნა გაცემული ცალ-ცალკე თანამშრომელთა ხელფასებისა და პრემიების ოდენობა. სამწუხაროდ, დასახელებული საჯარო დანესებულებების აქტები დაუსაბუთებელია და ჩვენთვის გაურკვეველი ხდება საჯარო დანესებულებების ასეთი მიღობობა და განმარტება ამ საკითხთან დაკავშირებით. თუმცა აღვნიშნავთ, რომ გაურკვეველია საჯარო დანესებულებების დამოკიდებულება, როდესაც საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომს ხდიან თანამშრომელთა სამივლინებო ხარჯებს, ხოლო პრემიისა და ხელფასის შესახებ ინფორმაციის გაცემაზე უარს აცხადებენ პერსონალური მონაცემების დაცვის მოტივით. მიგვაჩინია, რომ საქართველოს კანონმდებლობით, ერთნაირი სტანდარტები ვრცელდება საჯარო დანესებულების თანამშრომელთა ხელფასებზე, პრემიებსა და სამივლინებო ხარჯებზე. საჯარო დანესებულებები ხელფასებისა და პრემიების შესახებ ინფორმაციის საჯარო ინფორმაციად მიჩნევის თაობაზე უთითებენ, რომ ეს მონაცემები საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, პერსონალურ ინფორმაციას განეკუთვნება. თუ საჯარო დანესებულებების მიერ გაკეთებულ განმარტებას დავეყრდნობით, სამივლინებო ხარჯებიც პერსონალური სახის ინფორმაციაა და იგი საჯარო დანესებულებას არ უნდა გაეცა.

4. ადგილობრივი თვითმმართველობების მხრიდან საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის თანახმად, საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის მაქსიმუმ 10 დღიანი ვადაა გათვალისწინებული. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი მუნიციპალიტეტი საერთოდ არ გასცემდა ან არასრულყოფილად გვაწვდიდა შესყიდვებთან დაკავშირებულ სამართლებრივ დოკუმენტაციას.

ასევე, დაგვიანებით მოგვეწოდებოდა ინფორმაცია მუნიცი-

პალური განვითარების ფონდისაგან, თუმცა, აღნიშნული გან-პირობებული იყო მოსაწოდებელი მასალის განსაკუთრებით დიდი ოდენობით, რაზეც მხარეებს შორის შედგა მოლაპარა-კება.

ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ საჯარო ინფორმა-ციის გაცემის პროცესში, უმეტესად ადგილი ჰქონდა ინფორმა-ციის არასრულყოფილად ან დაგვიანებით მოწოდებას.

ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ ინფორმაციის არასრულყოფილად მოწოდება სისტემატურ ხასიათს ატარებ-და, რაც, შესაძლოა, რამდენიმე გარემოებით იყოს განპირობე-ბული: ა) ზედაპირული დამოკიდებულება ინფორმაციის თავი-სუფლებისადმი წაყენებული მოთხოვნების მიმართ; ბ) დოკუ-მენტაციის არასრულყოფილად წარმოება, ანუ შესყიდვების დოკუმენტების არასრულყოფილი მომზადება; გ) პროცეურატუ-რის მიერ მასალების სრულად ამოღება სისხლის სამართლის გამოძიების მიზნით.

ინფორმაციის მოპოვებისათვის ხშირად საჭირო ხდებოდა ხელმეორედ, დამაზუსტებელი განცხადებების წარდგენა.

ყოველივე ზემოთ თქმული ადასტურებს, რომ საჯარო დაწესე-ბულებები, ამ შემთხვევაში კი მუნიციპალიტეტები, შესყიდვებ-თან დაკავშირებული დოკუმენტების გაცემისას ვერ უზრუნ-ველყოფენ კანონით დადგენილი პროცედურებისა და ვადების დაცვას.

5. სასამართლო ორგანოების მხრიდან საჯარო ინ-ცორმაციის ხელმისაწვდომობა

საქართველოს სასამართლოებში განსხვავებული მიღებობა არ-სებობს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკა-ვშირებით. მათ გამოთხოვნილი ინფორმაციის ხელმისაწვდო-მობა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით მიღებული სასამართლო გადაწყვეტილებების შემთხვევაში, შემდეგნაი-რად უზრუნველყოვეს:

14 სასამართლოდან 12-მა კანონით დადგენილ ვადაში მოგვა-ნოდა სრულყოფილი ინფორმაცია. უკლებლივ ყველამ გვაცნო-

ბა, რომ განცხადებაში მითითებული პერიოდის განმავლობაში (2005 წლის 20 აპრილიდან – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს მოქმედი კანონის მიღებიდან ინფორმაციის მოთხოვნის დღის მდგომარეობით) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე საქმეები მათთან არ შემოსულა და, შესაბამისად, არ განუხილავთ. ერთმა სასამართლომ საერთოდ არავითარი რეაგირება არ მოახდინა ასოციაციის მიერ წარდგენილ განცხადებაზე, ხოლო ერთმა ინფორმაცია მოგვაწოდა არასრულყოფილი სახით.

2009 წლის 14 დეკემბრით არის დათარიღებული სამტრედიის რაიონული სასამართლოს პასუხი. წერილით გვეცნობა, რომ წინამდებარე უწყებას საერთოდ არ განუხილავს სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავა 2006 წლიდან დღემდე. რაც შეეხება 2005 წლის მონაცემებს, გვეცნობა, რომ „სამტრედიის რაიონული სასამართლოს არქივი 2005 წლის ჩათვლით გადაგზავნილია საქართველოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის საარქივო განყოფილებაში.“ მოცემულ შემთხვევაში, როდესაც მოთხოვნილი ინფორმაცია კონკრეტულ დაწესებულებას არ მოეპოვება, მოქმედებს საქართველოს ზოგადი. ადმინისტრაციული კოდექსის მე-80 მუხლი. ნორმა არეგულირებს უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო-სათვის განცხადების გადაგზავნის საკითხებს. კერძოდ, მე-80 მუხლის | და ||| ნაწილების თანახმად:

„1. თუ განცხადებით მოთხოვნილი საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება სხვა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, არა უგვიანეს 5 დღისა გადაგზავნოს განცხადება და მასზე დართული საბუთები უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოს.

3. განცხადებისა და მასზე დართული საბუთების უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში გადაგზავნის შესახებ, შესაბამისი დასაბუთებით, 2 დღის განმავლობაში, წერილობით ეცნობება განმცხადებელს.“

ვინაიდან, სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2005 წლის არქივი გადაგზავნილი იყო საერთო სასამართლოების დეპარტამენტის საარქივო განყოფილებაში, ამ ნაწილში საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადება უნდა

გადაგზავნილიყო მითითებულ უწყებაში 5 დღის ვადაში, რის შესახებაც 2 დღის ვადაში სასამართლოს უნდა ეცნობებინა განმცხადებლისათვის. თუმცა, სამტრედიის რაიონულმა სა-სამართლომ კანონით დადგენილი ეს პროცედურა დაარღვია, როდესაც პირდაპირ განმცხადებელს დაუბრუნა პასუხი სხვა ადმინისტრაციულ ორგანოზე მითითებით.

მარნეულის რაიონულმა სასამართლომ საქართველოს ახალ-გაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ წარდგენილი განცხადება ყოველგვარი რეაგირების გარეშე დატოვა.

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, გასცეს საჯარო ინფორმაცია დაუყოვნებლივ, ან არა უგვიანეს 10 დღისა, თუ არსებობს ამავე მუხლში მოცემული საგამონაკლისო გარემოებები. 10 დღიანი ვადის გამოყენების შემთხვევაში, ადმინისტრაციული ორგანო ვალდებულია, ამის თაობაზე დაუყოვნებლივ აცნობოს განმცხადებელს. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის განცხადებაზე დაუყოვნებლივ რეაგირება არ მოუხდენის საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირს. ამასთან, ადმინისტრაციულმა ორგანომ გამოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია არ მოგვაწოდა არც კანონით დადგენილ მაქსიმალურ ვადაში. შესაბამისად, უხეშად იქნა დარღვეული ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნა, რომელიც ავალდებულებს ადმინისტრაციულ ორგანოს, კანონით დადგენილ ვადაში გასცეს საჯარო ინფორმაცია. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლის მიხედვით, საჯარო დაწესებულება, საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შემთხვევაში, ვალდებულია, ალნიშნული დაუყოვნებლივ აცნობოს განმცხადებელს და 3 დღის ვადაში წერილობით განუმარტოს მისი უფლებები და გასაჩივრების წესი. მიუხედავად იმისა, რომ მარნეულის რაიონული სასამართლოს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელმა პირმა არ გასცა საჯარო ინფორმაცია კანონით დადგენილ ვადაში, მან ასევე არ შეასრულა კანონის მოთხოვნა საჯარო ინფორმაციაზე უარის თქმის წესის შესახებ. თუმცა, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ქმედების განხორციელებისათვის კანონით დადგე-

ნილი ვადის დარღვევა ითვლება ქმედების განხორციელებაზე უარის თქმად.

რაც შეეხება ინფორმაციის თავისუფლების საკითხებთან და-კავშირებით სასამართლოების მიერ 2008 წლიდან დღემდე მიღებული გადაწყვეტილებების ხელმისაწვდომობას:

ცამეტმა სასამართლომ გამოთხოვნილი ინფორმაცია მოგვა-ნოდა სრულად და კანონით დადგენილ ვადებში. მაგ: საქართ-ველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, ფოთის საქალაქო სა-სამართლომ, აბაშის რაიონულმა სასამართლომ და ა.შ. ინფორ-მაციის მოწოდებაში იგულისხმება ასევე წერილები იმასთან დაკავშირებით, რომ მათ არ განუხილავთ მსგავსი ხასიათის დავები და გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

ორმა სასამართლომ საერთოდ არ მოახდინა რეაგირება განცხადებაზე და, შესაბამისად, არც გამოთხოვნილი ინფორ-მაცია მოუწოდებიათ. ეს სასამართლოებია: ქუთაისის საქა-ლაქო სასამართლო და ლენტების რაიონული სასამართლო.

საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს შემ-თხვევა. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ უარი გა-ნაცხადა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე იმ საფუძვლით, რომ გამოთხოვნილი საქმეების სისტემიზაცია იყო საჭირო, რაც საკმაოდ დიდ დროს მოითხოვდა და სასამართლო მიზანშე-წონილად არ მიიჩნევდა ადმინისტრაციული პერსონალის მო-ბილიზებას ამ მიმართულებით.

მიგვაჩნია, რომ საქართველოს უზენაესი სასამართლოს პა-სუხი მოკლებულია ყოველგვარ სამართლებრივ დასაბუთებას, რადგან სასამართლო ორგანოებს სზაკ-ის მე-3 თავის საფუძ-ველზე გააჩნიათ ვალდებულება, უზრუნველყონ საჯარო ინ-ფორმაციის გაცემა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დასახელებული მიზეზი არ წარმოადგენს საჯარო ინფორ-მაციის გაცემაზე უარის თქმის საფუძველს. იმ შემთხვევაში, თუ გამოთხოვნილი ინფორმაცია საჭიროებს მნიშვნელოვანი მოცულობის ცალკეული დოკუმენტების მოძიებასა და და-მუშავებას, სზაკ-ის მე-40 მუხლის თანახმად, საჯარო დაწესე-ბულებას ინფორმაციის გაცემისათვის აქვს 10 დღიანი ვადა. ამ შემთხვევაში კი, ეს გარემოება საქართველოს უზენაესი სა-

სასამართლოს მიერ უარის თქმის საფუძვლად არასწორად იქნა გამოყენებული.

ამგვარად, სასამართლოებში არ არსებობს ერთიანი მიდგომა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით და მათი გარკვეული ნაწილი არ უზრუნველყოფს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის მიწოდებას კანონით დადგენილ ვადებში.

5.1. სასამართლოების მიერ მოწოდებული ინფორმაცია

სასამართლოების მიერ გამოთხოვნილი ინფორმაციის მოწოდება ორი ფორმით გამოიხატა: მოგვეწოდა სასამართლო გადაწყვეტილებების ოდენობა და გადაწყვეტილებების ასლები, ან გვეცნობა, რომ სასამართლოებს აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით დავები არ განუხილავთ.

30 სასამართლოდან 26-მა გვაცნობა, რომ დროის მოთხოვნილ მონაკვეთში სახელმწიფო შესყიდვებსა და ინფორმაციის თავისუფლების საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები არ მიუღიათ.

აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებით 2005 წლის 20 აპრილიდან დღემდე სასამართლოებს არც ერთი დავა არ განუხილავთ, შესაბამისად, არ არსებობს სასამართლო გადაწყვეტილებები.

რაც შეეხება ინფორმაციის თავისუფლების საკითხებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს, მოგვეწოდა შემდეგი:

1. საქართველოს საქალაქო სასამართლოდან – 19 გადაწყვეტილება;
2. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოდან – 1 გადაწყვეტილება;
3. გურჯაანის რაიონული სასამართლოდან – 1 გადაწყვეტილება;
4. ბათუმის საქალაქო სასამართლოდან – 3 გადაწყვეტილება;
5. თბილისის სააპელაციო სასამართლოდან – 26 გადაწყვეტილება;

6. თბილისის საქალაქო სასამართლოდან – 16
გადაწყვეტილება.

სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების სიმცირე მეტყველებს იმაზე, რომ მოქალაქეები თავიანთი უფლებების დასაცავად აქტიურად არ მიმართავენ სასამართლო ორგანოებს. ამის მიზეზად შეგვიძლია მივიჩნიოთ, ერთი მხრივ, სასამართლოებისადმი არსებული უნდობლობა, ხოლო მეორე მხრივ, დავის დასაწყებად აუცილებელი ბაჟის ოდენობა. ეს პრობლემა განსაკუთრებით არსებობს რეგიონებში, რაც აისახა კიდეც იქ არსებული სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების რაოდენობაზე.

ინფორმაციის თავისუფლების საკითხებთან მიმართებით განსაკუთრებით პრობლემატურია ბაჟის საკითხი. სასამართლოში საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებულ დავებზე ბაჟის ოდენობა შეადგენს 100 ლარს. მიგვაჩნია, რომ სასამართლოში ბაჟის ოდენობა უნდა განისაზღვროს არა ფიქსირებული თანხით, არამედ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, ინფორმაციის ღირებულების ოდენობიდან გამომდინარე. ასევე, გარკვეული სახის საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებულ დავებზე პირი უნდა გათავისუფლდეს სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ეს უნდა შეეხოს ისეთ ინფორმაციებს, რომელთა გასაიდუმლოება, სზაკ-ის 42-ე მუხლის თანახმად, დაუშვებელია, მაგალითად, პერსონალურ ინფორმაციასთან დაკავშირებული დავები, გარემოს შესახებ ინფორმაცია და ა.შ. აღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს მოქალაქეების უფლებების დაცვას სასამართლოს გზით.

5.2. პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხი სასამართლოების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაში

პერსონალური მონაცემების შემცველი ინფორმაციის დაცულობის საკითხი მოცემულია საქართველოს კონსტიტუციის 41-ე მუხლის მე-2 პუნქტსა და სზაკ-ის 43-ე-45-ე მუხლებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 44-ე მუხლის თანახმად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია, არ გაახმაუროს პირად საიდუმლოებას მიეუთვენებული ინფორმაცია თვით ამ პირის თანხმობის ან კანონით გათვალისწინებულ შემ-

თხვევებში – სასამართლოს დასაბუთებული გადაწყვეტილების გარეშე, თანამდებობის პირთა პერსონალური მონაცემების გარდა.

სასამართლო გადაწყვეტილებებში არსებული ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა პროცესის მხარეების ვინაობა და მათი იდენტიფიკაციის შემცველი ინფორმაცია, პირის პერსონალურ მონაცემებს წარმოადგენს და სასამართლოებს გააჩნიათ ვალდებულება, უზრუნველყონ ამ ინფორმაციის დაცვა. შესაბამისად, სასამართლოების მიერ მოწოდებულ გადაწყვეტილებებში არ უნდა იყიდოს პირის პერსონალური მონაცემები.

სასამართლოებში ამ მიმართულებით განსხვავებული მიდგომა არსებობს. ერთი ნაწილის მიერ მოწოდებულ გადაწყვეტილებებში პირის პერსონალური მონაცემები დაფარულია. თბილისის სააპლაციო, თბილისის საქალაქო, ბათუმის საქალაქო და გორის რაიონულმა სასამართლოებმა სასამართლო გადაწყვეტილებები დაშტრიხული სახით გასცეს.

სასამართლოების გარკვეულმა ნაწილმა მოწოდებულ სასამართლო გადაწყვეტილებებში არსებული პერსონალური მონაცემების დაცვა არ უზრუნველყო. ეს სასამართლოებია: გურჯაანის რაიონული სასამართლო, სიღნაღის რაიონული სასამართლო და რუსთავის რაიონული სასამართლო.

ამგვარად, სასამართლოების გარკვეული ნაწილი საჯარო ინფორმაციის მიწოდებისას პირის პერსონალური მონაცემების დაცვას არ უზრუნველყოფს.

IV. საჯარო ინფორმაციის პრაკტიული გამოქვეყნება

რეგიონული პროექტის ერთ-ერთი მიმართულებაა ადმინისტრაციული ორგანოების მუშაობის შესწავლა ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების კუთხით. თუმცა, საქართველოს კანონმდებლობა ადმინისტრაციულ ორგანოებს არ აკისრებს ასეთ ვალდებულებას. არადა, 2009 წელს საქართველომ ხელი მოაწერა ევროპის საბჭოს კონვენციას ოფიციალურ დოკუმენტაციასთან დაშვების შესახებ, რითაც აღებულ იქნა ვალდებულება საჯარო დაწესებულებების ინიციატივით დოკუმენტაციის გასაჯაროების შესახებ.

კონვენციის მუხლი 10

„საკუთარი ინიციატივით და საჭიროების შემთხვევაში, საჯარო დაწესებულება მიიღებს აუცილებელ ზომებს მის მფლობელობაში არსებული ოფიციალური დოკუმენტების საჯაროდ გამოტანის მიზნით, რაც ემსახურება საჯარო ადმინისტრაციის ტრანსპარანტულობასა და ეფექტიანობას და ხელს უწყობს საზოგადოების ინფორმირებულ მონაწილეობას იმ სფეროებში, რომლებიც საერთო ინტერესის საგანს შეადგენს.“

ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ინფორმაციის პროაქტი-ული გამოქვეყნება უმნიშვნელოვანესია შედეგისა და ეფექტურობის კუთხით. იგი უზრუნველყოფს საზოგადოების მეტი ინფორმირებულობას და ჩართულობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, მეორე მხრივ კი, ამცირებს დაწესებულების ადმინისტრაციულ ხარჯს, რაც თან სდევს დაინტერესებული მხარის მიერ საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნას.

ამ კუთხით განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დაწესებულების პრესამსახურის მუშაობა და ვებ-პორტალის ფუნქციონირება. თუმცა, მხოლოდ აღნიშნულის არსებობა არ არის დაწესებულების გამჭვირვალობის შეფასების მთავარი ინდიკატორი. გამჭვირვალობა, თავისთავად, კომპლექსურ გააზრებას და ასეთივე დამოკიდებულებას მოითხოვს ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ პრესამსახურის საქმიანობა, ვებ-გვერდი და ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებები რეალურად ქმნიდეს ეფექტურ მექანიზმს გამჭვირვალობის მისაღწევად.

აღნიშნული საკითხების კანონმდებლობით დაურეგულირებლობის პირობებში, ინფორმაციის პროაქტიული საჯაროობა და მისი მოცულობა დამოკიდებული ხდება უწყების ნებაზე. შესაბამისად, პრესამსახურის მუშაობა, ვებ-გვერდებზე ინფორმაციის არსებობა, მისი სისრულე, ხელმისაწვდომობა და აქტუალურობა პროპორციულად უდრის დაწესებულების მიერ გამოვლენილ ნებას – იყოს ღია და მაქსიმალურად ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის.

1. პრესამსახურების როლი და ფუნქციები

საჯარო დაწესებულების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფის, ასევე, უწყებაში კომუნიკაციის ეფექტური სისტემის არსებობის მიზნით, უმნიშვნელოვანესია პრესამსახურის როლი და მისი ფუნქციები. თუმცა, ეროვნული კანონმდებლობა არ ადგენს საერთო სტანდარტს და არ განსაზღვრავს ამ ტიპის სტრუქტურული ერთეულის მუშაობის ზოგად წესებს.

საერთო რეგულაციებისა და სტანდარტების არარსებობას კიდევ ერთხელ ადასტურებს საჯარო დაწესებულებებში ამ კუთხით არსებული სამართლებრივი ბაზის შესწავლა და იმ სტრუქტურული ერთეულების გამოკვეთა, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე.

საჯარო უწყებების ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობისათვის შექმნილი სამსახურები სხვადასხვა დასახელებით არსებობენ. მნიშვნელოვანი განსხვავებებია აგრეთვე მათი არსებობის ფორმის, სტრუქტურისა და მინიჭებული ფუნქციების თვალსაზრისით.

პრესამსახურები არსებობენ კონკრეტული უწყების დებულების საფუძველზე. სწორედ უწყების დებულებებით არის განსაზღვრული მათი ადგილი დაწესებულების სტრუქტურაში და აქვეა ჩამოყალიბებული მათი უფლებამოსილებები. ცალკეულ შემთხვევებში კი, საჯარო უწყების დებულება მხოლოდ მოიხსენიებს პრესამსახურს, როგორც ერთ-ერთ სტრუქტურულ ერთეულს, ხოლო მისი ფუნქციები და უფლებამოსილებები დეტალურად არის განერილი უშუალოდ პრესამსახურის დებულებაში.

პრესამსახურების დებულებების შესწავლის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სხვადასხვა უწყების პრესამსახურებს განსხვავებული ფუნქციები და მოვალეობები აქვთ. ზოგიერთ მათგანს საქმაოდ ბევრი ფუნქცია აქვს მინიჭებული, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში უფლებამოსილებები საქმაოდ მცირედა შეზღუდულია. რთულია მათი საერთო ფუნქციების გამოყოფა. თუმცა, განზოგადებული სახით შემოგთავაზებთ იმ

ძირითად ფუნქციებს, რომელთაც საქართველოში პრესსამსახურები ასრულებენ. ესენია:

- დაწესებულების მიერ ორგანიზებული ღონისძიებების, მიღებული გადაწყვეტილებებისა და, ზოგადად, უწყების საქმიანობის შესახებ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ინფორმირება;
- მასმედიასთან ურთიერთობა პრესკონფერენციების, პრიფინგების, ოფიციალური შეტყობინებების, განცხადებების, საინფორმაციო მასალებისა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენებით;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან დაწესებულებისა და მისი ხელმძღვანელი პირების ურთიერთობის უზრუნველყოფა და ხელშეწყობა (ცალკეულ შემთხვევაში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ემატება სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებთან ურთიერთობის კოორდინაცია);
- დაწესებულებაში პრეზენტაციებისა და საზოგადოებრივი ღონისძიებების დაგეგმვა, ორგანიზება და განხორციელება;
- დაწესებულების ვებ-გვერდის საინფორმაციო უზრუნველყოფა და ორგანიზება, ელექტრონული ფოსტის შექმნა და განვითარების უზრუნველყოფა;
- საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფა;
- მსოფლიოს წამყვანი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ყოველდღიური მონიტორინგი (მათ შორის, ქართული საინფორმაციო საშუალებების) და სპეციალური საინფორმაციო-ანალიტიკური მასალების მომზადება მათ მიერ გამოქვეყნებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

ამ საერთო ფუნქციების გარდა, პრესსამსახურებს, ცალკეულ შემთხვევაში, დაკისრებული აქვთ ისეთი ამოცანებიც, რომლებიც სხვა პრესსამსახურის შემთხვევაში, როგორც წესი, არ მეორდება, მაგალითად:

- სამინისტროში არსებულ ცხელ ხაზზე შემოსულ სატელეფონო შეტყობინებათა რეგისტრაცია და შესაბამისი კონსულტაციის გაწევა; შემოსულ შეტყობინებებზე რე-

- აგირების მიზნით, უწყების შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფებისათვის ინფორმაციის მიწოდება;
- საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიურ მისიებთან ინფორმაციის ურთიერთგაცვლის უზრუნველყოფა;
 - საზოგადოებრივი აზრის შესწავლა;
 - აპოსტილის დამოწმებასთან დაკავშირებული კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენცია;
 - საზოგადოების გარემოსდაცვითი განათლებისა და გარემოსდაცვითი ცნობიერების დონის ამაღლების ხელშეწყობა;
 - პრობლემატურ საკითხებზე სადისკუსიო კლუბის ორგანიზება და სამინისტროს ბიბლიოთეკის შექმნა.

ნათელია, რომ პრესსამსახურის ფუნქციებისა და ვალდებულებების განსაზღვრა ავტონომიურად ხდება თითოეული დაწესებულების შემთხვევაში, რაც ქმნის გარკვეულ წარმოდგენას დაწესებულების გამჭვირვალობის კუთხით და ადასტურებს ან უარყოფს უწყების მისწრაფებას, იყოს მაქსიმალურად ხელმისაწვდომი საზოგადოებისათვის.

2. საჯარო დაცესაგულებების ვებ-არჩევა

ინფორმაციის გამოქვეყნებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება ვებ-გვერდების ფუნქციონირებას. მის საინფორმაციო უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული სხვადასხვა დაწესებულებაში სხვადასხვა ფორმით არსებობს. ზოგიერთ უწყებაში შექმნილია სპეციალური სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს მონაცემების ელექტრონულ დამუშავებას, ბაზების შექმნას და საჯარო ინფორმაციის განთავსებას ვებ-გვერდზე. განზოგადებული სახით, ეს ფუნქციებია: უწყების ვებ-გვერდის შედგენა, წარმოება, დამუშავება და მისი მუდმივი განახლება; უწყების აპარატის შიდა კომპიუტერული ქსელის გამართული მუშაობა და განვითარების უზრუნველყოფა; სხვადასხვა სამართლებრივი აქტის განთავსება შიდა კომპიუტერულ ქსელში; ინფორმაციული რესურსების მართვა, მონაცემთა ბაზების ადმინისტრირება, საინფორმაციო ტექნოლოგიების კუთხით წამოჭრილი პრობ-

ლემების გაანალიზება, საინფორმაციო სისტემების სტანდარტების შემუშავება და ა.შ.

ცალკეულ უწყებებში ასეთი ფუნქციები საერთოდ არ არის განსაზღვრული, რაც ადასტურებს საერთო სტანდარტების არარსებობას ელექტრონული კომუნიკაციების სფეროში.

ვებ-გვერდებთან მიმართებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია განთავსებული ინფორმაციის სისრულე, ხარისხი და ხელმისაწვდომობა. ეს ის აუცილებელი კრიტერიუმებია, რასაც დაწესებულების ვებ-გვერდები უნდა აკმაყოფილებდეს. თუმცა, აღნიშნულს მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში აქვს ადგილი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 42-ე მუხლი აკეთებს ზოგად განმარტებას, რომლის თანახმადაც, ლიაა „ყველა ინფორმაცია, რომელიც კანონით დადგენილი წესით არ არის მიჩნეული სახელმწიფო, კომერციულ ან პირად საიდუმლოებად.“ თუმცა, იგივე მუხლი დამატებით ადგენს ასეთი ტიპის ინფორმაციის ჩამონათვალს. ვფიქრობთ, ეს არის ინფორმაციის ის მინიმუმი, რომელსაც დაწესებულების ვებ-გვერდები უნდა შეიცავდეს.

ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციიდან ასევე მნიშვნელოვანია ის ნაწილი, რომელიც საჯარო მოსამსახურეთა შესახებ მონაცემების საჯაროობას ეხება. ასეთი ტიპის მონაცემები უნდა იყოს სრულყოფილი და, დაინტერესების შემთხვევაში, მოქალაქეთათვის ქმნიდეს ეფექტური კომუნიკაციის შესაძლებლობას. უკანასკნელ პერიოდში აღნიშნული მონაცემების განთავსება მოხდა ვებ-გვერდების გარკვეულ ნაწილზე. თუმცა, ეს მონაცემებიც ხშირად არ არის სრულყოფილი, ცალკეულ შემთხვევებში კი, დაწესებულებების მხრიდან ფორმალურ დამოკიდებულებას აქვს ადგილი. აღნიშნული განსაკუთრებულად შეეხება ვებ-გვერდზე განთავსებულ საჯარო მოხელეთა საკონტაქტო ტელეფონის ნომრებს. აუცილებელია, რომ აღნიშნული რეალურად ქმნიდეს უწყების გამჭვირვალობისა და სათანადო კომუნიკაციის ეფექტურ მექანიზმს. მაგალითად, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ვებ-გვერდზე მითითებული სატელეფონო ნომრები, უმეტეს შემთხვევაში, ვერ უზრუნველყოფს ხელმისაწვდომობის მოთხოვნებს და მისი განთავსება მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს.

ვებ-გვერდით ასევე ხელმისაწვდომი უნდა იყოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის შესაბამისი მონაცემები და საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის გადახდის წესი. ეს უკანასკნელი განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მას შემდეგ, რაც საქართველოს კანონით „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ დადგინდა, რომ მოსაკრებლის გადახდის წესს თითოეული დაწესებულება დამოუკიდებლად განსაზღვრავს. შესაბამისად, აუცილებელია, უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი წესის დადგენა და ეფექტური ხელმისაწვდომობა ნებისმიერი დაინტერესებული მხარისათვის. ამჟამად ასეთი წესი არც ერთი დაწესებულების ვებ-გვერდზე არ არის განთავსებული.

იმ საჯარო დაწესებულებებმა, რომლებიც უზრუნველყოფენ სხვადასხვა მონაცემის დამადასტურებელი ცნობების გაცემას, უკანასკნელ წლებში სრულად დანერგეს ელექტრონული ტექნოლოგიები. მაგალითად, სამოქალაქო და სამეწარმეო რეესტრების ვებ-გვერდებზე ინფორმაციის მოძიება და ოფიციალურად დადასტურებული ამონაწერის მიღება ელექტრონულ რეჟიმშია შესაძლებელი. ვფიქრობთ, აღნიშნულმა მნიშვნელოვნად გაამარტივა მოქალაქეთათვის სასურველი ინფორმაციით სარგებლობა.

ამ კუთხით საინტერესოა საქართველოს კონტროლის პალატის მუშაობა, რომელიც უკანასკნელი თვეების მანძილზე რადიკალურად შეიცვალა. აღნიშნული უწყება დღეს ხელმისაწვდომია ონლაინ რეჟიმში თითქმის ყველა სოციალურ ქსელში.

ბუნებრივია, ზემოთ მოყვანილი ცვლილებები პოზიტიურია და დიდ როლს ასრულებს უწყების გამჭვირვალობის კუთხით. თუმცა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იმ ინფორმაციის შინაარსია, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება საზოგადოებისათვის.

V. დასკვნა

განხორციელებულმა კვლევამ საქართველოში ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნების დაცვის, კანონით დადგენილი გარანტიების უზრუნველყოფისა და ძირითადი ტენდენციების შესახებ გარკვეული სურათი შექმნა. შედეგები ცხადყოფს, რომ გამოვლენილი დარღვევები და ინფორმაციის ხელმისაწვ-

დომობის შეზღუდვის მიზნით არსებული ბარიერები არაერთგვაროვანი და მრავალფეროვანია. ცალკეულ შემთხვევაში, დაბრკოლებებს სამართლებრივი ნორმების ბუნდოვანება ან არარსებობა განაპირობებს, თუმცა, არცთუ იშვიათად საქმე გვაქვს ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან კანონსაწინააღმდეგო ქმედებებსა და დამკვიდრებულ უკანონო პრაქტიკასთან.

კვლევის შედეგებით, უმეტეს შემთხვევებში, ინფორმაციის გაცემა სრულყოფილად მოხდა. ასევე, უმეტესწილად დაცული იქნა ინფორმაციის გაცემის 10 დღიანი ვადა, თუმცა, ინფორმაციის თავისუფლების მოთხოვნების სათანადო დაცვის პირობებში აღნიშნული მაჩვენებელი გაცილებით მაღალი უნდა იყოს. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ კვლევის ფარგლებში გაგზავნილი ყველა განცხადება საჯარო ინფორმაციის გამოთხოვნას შეეხებოდა.

სრულიად უკანონოა საჯარო დაწესებულებების მიერ განცხადებების რეაგირების გარეშე დატოვების შემთხვევები, თუმცა, 150-დან 29 შემთხვევაში სწორედ ასეთი ფაქტის წინაშე აღმოვჩნდით. განცხადების რეაგირების გარეშე დატოვების ტენდენციისგან, ფაქტობრივად, არაფრით განსხვავდება ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან წერილობითი უარის შემთხვევები. მიუხედავად კანონის პირდაპირი მოთხოვნისა, რომ ინფორმაციის გაცემაზე უარი იყოს დასაბუთებული, ადმინისტრაციული ორგანოებისაგან მიღებული პასუხები აღნიშნულ სტანდარტს არ შეესაბამება.

ინფორმაციის არასრულყოფილი მოწოდება, ინფორმაციის გაცემა ვადის დარღვევით, დაუსაბუთებელი უარის შემთხვევები, რეაგირების გარეშე დარჩენილი განცხადებები, საჯარო ინფორმაციის უკანონო და დაუსაბუთებელი გასაიდუმლოება, არასწორი პრაქტიკა და წინააღმდეგობრივი პოზიციები – ეს ის ძირითადი პრობლემებია, რომლებიც ჩატარებულმა კვლევამ გამოავლინა.

შედეგები ადასტურებს, რომ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა დამოკიდებულია არა მის შინაარსზე, არამედ ცალკეული საჯარო დაწესებულების წებასა და სურვილზე, გახადოს კონკრეტული ინფორმაცია საჯარო ან მიიჩნიოს იგი საიდუმ-

ლოდ. ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ ინფორმაციის საჯაროობის თაობაზე არათუ ერთგვარი მიღებომა არ არსებობს, არამედ ინფორმაციის დახურვისას ადმინისტრაციული ორგანოები აპსოლუტურად განსხვავებულ სამართლებრივ საფუძვლებს უთითებენ. უფრო მეტიც, ცალკეულ შემთხვევებში, წინააღმდეგობრივია თვით ადმინისტრაციული ორგანოს პოზიცია, რომლის მიერ მოყვანილი უარის გასამართლებლად მითითებული არგუმენტები ერთმანეთს გამორიცხავენ.

ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით არაერთი პრობლემა არსებობს საქართველოს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში, რაც ამცირებს ადმინისტრაციული ორგანოების გამჭვირვალობის ხარისხს და უკანონოდ ზღუდავს დაინტერესებული პირების უფლებას, მიიღონ მათთვის საინტერესო ინფორმაცია. აღნიშნული პრობლემები და ბარიერები გამოვლენას და შესაბამის მოქმედებას საჭიროებს. ვფიქრობთ, წინამდებარეკვლევა ხელს შეუწყობს ინფორმაციის თავისუფლების სტანდარტებისა და გარანტიების დანერგვასა და განმტკიცებას.

